სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს

გადაწყვეტილება № 520

(ოქმი № 454)

თბილისი 2021 წლის 27 დეკემბერი

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის, მისი მოადგილისა და მეურვეების ჰონორარების განსაზღვრის წესის შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 24(9) მუხლის თანახმად, დამტკიცდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის, მისი მოადგილისა და მეურვეების ჰონორარების განსაზღვრის წესის.

დანართი:

1. სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის, მისი მოადგილისა და მეურვეების ჰონორარების განსაზღვრის წესი.

გადაწყვეტილება ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ირინა ფუტკარაძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

მიხეილ ჩიკვილაძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

ბესიკ ლილუაშვილი

იზაბელა ოსიპოვა

ზაზა აბაშიძე

ბონდო მძინარაშვილი

გიორგი ნიჟარაძე

ირაკლი პაპავა

გრიგოლ მურღულია

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის, მისი მოადგილისა და მეურვეების ჰონორარების განსაზღვრის წესი

1. მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მეცხრე ნაწილის შესაბამისად, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის მეურვის ჰონორარისა და ამ კანონით განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ხარჯების ოდენობებს განსაზღვრავს სამეურვეო საბჭო საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის 1,5%-ის ფარგლებში. ჰონორარისათვის გამოყოფილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს ბიუჯეტის 1%-ს;
2. სამეურვეო საბჭოს მთლიანი ჰონორარი განისაზღვრება ყოველწლიურად მაუწყებლის ბიუჯეტის დამტკიცების დროს სახელმწიფო ასიგნების ფარგლებში მისაღები თანხების 1%-ით;
3. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის ჰონორარი შეადგენს სამეურვეო საბჭოს ჰონორარისთვის გამოყოფილი თანხის 15,1%-ს, თავმჯდომარის მოადგილის ჰონორარი 11,7%-ს, ხოლო საბჭოს წევრის ჰონორარი 10,5%-ს (უახლოეს ნაკლებ ათეულამდე დამრგვალებით);
4. იმ შემთხვევაში, თუ სამეურვეო საბჭოს რომელიმე წევრი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დატოვებს თანამდებობას და დროულად არ მოხდება საბჭოში ახალი წევრის შემოსვლა, სამეურვეო საბჭოს ჰონორარების ნაწილში აუთვისებელი თანხა ნაწილდება პროპორციულად წევრებზე, ან გადადის სამეურვეო საბჭოს სხვა ხარჯებში;
5. სამეურვეო საბჭოს წევრის ჰონორარის ოდენობა განისაზღვრება ამ წესის შესაბამისად და შესასრულებლად ეგზავნება მაუწყებლის გენერალურ დირექტორს;
6. წინამდებარე წესში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხდება სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით.